ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი ქეთევან მაჭავარიანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე თელია

ასისტენტ-პროფესორი მარიამ თუთაშვილი

ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი

ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციობს 1974 წლიდან. 1974-2001 წლებში ალერგოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი გურამ გურგენიძე. 2001-2024 წლებში ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პროფესორი ალექსანდრე (დავით) თელია.

დეპარტამენტის პერსონალის წარმატებული პედაგოგიური, სამეცნიერო და კლინიკური საქმიანობა სათანადოდ იქნა შეფასებული სამედიცინო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ. ეს დასტურდება იმით, რომ დეპარტამენტის ბევრმა თანამშრომელმა დაიკავა წამყვანი პოზიციები სამედიცინო განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში:

1) პროფესორი გურამ გურგენიძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსეთის (წარსულში სსრკ) სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში 1974-1983 წწ;

2) პროფესორი ამირან გამყრელიძე - ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის დირექტორი (1994-1997 წწ); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (2002-2004 წწ); სსიპ „ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გენერალური დირექტორი (2012 წლიდან დღემდე);

3) პროფესორი გიორგი ხეჩინაშვილი - ფტიზიატრიისა და პულმონოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1995-2000 წწ); სააქციო საზოგადოება „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (2000-2004 წწ); საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2016 წწ);

4) პროფესორი ალექსანდრე (დავით) თელია - კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (2002-2004 წწ); თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი (2005-2006 წწ); საქართველოს ასთმოლოგთა, ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (2003-2024); საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაციის პრეზიდენტი (2010-2024)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2015 წელს სასწავლო დეპარტამენტებთან/მიმართულებებთან დაკავშირებით ჩატარებული სტუდენტთა შეფასების კვლევის შედეგების შესაბამისად, ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის მიმართულება პირველ ადგილზე გავიდა დადებითი შეფასებების მიხედვით.

ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი

დიპლომამდელი სწავლების პროგრამით დეპარტამენტში მზადებას გადიან მედიცინის ფაკულტეტის V და სტომატოლოგიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები. აგრეთვე, დეპარტამენტის ბაზაზე მიმდინარეობს დიპლომისშემდგომი განათლება გრძელვადიანი (რეზიდენტურა) და მოკლევადიანი (უპგ) ციკლებით - ალერგოლოგიასა და კლინიკურ იმუნოლოგიაში.

დაარსების დღიდან, დეპარტამენტი მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს ქვეყანაში პაციენტთა სპეციალიზებულ მომსახურებას.

მნიშვნელოვანია და მრავალფეროვანი კათედრის, ამჟამად კი დეპარტამენტის წვლილი ქართული ალერგოლოგიური სკოლის განვითარებაში. შესრულებულია ფუნდამენტური და აქტუალური სამეცნიერო შრომები ალერგიულ დაავადებათა გავრცელების, თავისებურებების, ეტიოლოგიური ფაქტორებისა და პათოგენეზის შესასწავლად საქართველოს რეგიონებში ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან კორელაციაში, შემუშავებული და აპრობირებული იქნა სპეციფიკური იმუნოთერაპიის მეთოდები და სქემები; დეპარტამენტის (კათედრის) წევრთა მიერ შექმნილია მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები; დღემდე მისი წევრები მონაწილეობენ არაერთ მულტიცენტრულ საერთაშორისო კლინიკურ კვლევაში.